# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №01-03-169

14 სექტემბერი 2018 წელი

ქ. თბილისი

**შემსყიდველი:** სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის ფუნქციების დროებით შემსრულებლის **დავით ხვედელიძის** სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. №4;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22

**მიმწოდებელი:** შპს „ჯორჯიან პროგრეს გრუპი", წარმოდგენილი მისი დირექტორის **მიხეილ სამხარაძის** სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დიდი დიღომი საცხოვრებელი რაიონი, (ნაკვეთი 003/001) / მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი 03/006), ბ. N10;
საიდენტიფიკაციო კოდი: 405102883;
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი ", ბანკის კოდი:BAGAGE22, ა/ა:GE58 BG00 0000 0547 2080 00

ერთის მხრივ შემსყიდველი და მეორეს მხრივ მიმწოდებელი, ჩატარებული ელექტრონული ტენდერის **(ტენდერის №SPA180006575)** შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

## მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2 ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება.

1.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებილების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებილების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

## მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს" მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში დაგეგმილი კონფერენციის (ღონისძიების) ორგანიზების შესყიდვა (*CPV:79952000 - ღონისძიებების ორგანიზება*), რომლის დეტალური მახასიათებლები მოცემულია ხელშეკრულების *დანართი №1-ში.*

## მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **194 582.00** (ას ოთხმოცდათოთხმეტი ათას ხუთას ოთხმოცდაორი) ლარს;

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დეტალური აღწერილობა, ერთეულის ფასები და რაოდენობა მოცემულია ხელშეკრულების დანართი №1-ში;

3.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს (დღგ-ს ჩათვლით);

3.5. დაფინანსების წყარო: *სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს" მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი (პროგრამული კოდი: 32 02 02 03).*

## მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

4.1. მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;

4.2. მიმწოდებელი აცხადებს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება იქნება უნაკლო.

### მუხლი 5. გასაწევი მომსახურების ვადა და პირობები

5.1. მომსახურების გაწევის თარიღი: 2018 წლის 22-23 სექტემბერი;

5.2. კონფერენციის გამართვისა და 6 (ექვსი) მოწვეული სტუმრის დაბინავების ადგილია ქ.თბილისი, ვარდების რევოლუციის მოედანი №1, სასტუმრო "Radisson blu iveria";

5.3 ღონისძიების მონაწილე 70 (სამოცდაათი) პირის დაბინავების ადგილია ქ.თბილისი, აფაქიძის ქუჩა №11, სასტუმრო "Best Western";

5.4 მოწვეული სტუმრების და ღონისძიების მონაწილე პირების განთავსების თარიღები მითითებულია ხელშეკრულების *დანართი №1-ში.*

### მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგე-ნლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება გაფორმდება ერთიანად ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემს-ყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია;

6.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის უფლება ენიჭება სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი **თამარ ხურცია**, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირებ-ის განმახორციელებელი პირის დასკვნა.

### მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

7.3 საავანსო გადახდა არ გამოიყენება.

### მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

**8.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:**

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს" გაწეული მომსახურების ღირებულება;

8.1.2 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

**8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:**

8.2.1 შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

**8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:**

8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2 ხარისხიანად და კვალიფიციურად გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული მომსახურება;

8.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.3.5 საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს გამოვლენილი ნაკლი;

8.3.6 წარუდგინოს შემსყიდველს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.

8.4 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.4.1 წარუდგინოს შემსყიდველს ფიზიკურად გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია;

8.4.2 მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.3 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

## მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულ-ების 0.02 % -ის ოდენობით;

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამ-ტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) % -ის ოდენობით;

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გა-დააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი)%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. „შემსყიდველის" წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამ-ოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან;

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგ-ად გამოვლენილი ყველა დეფექტის აღმოფხვრა;

10.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის შესყიდვების კოორდინატორი **ივანე კვიტაიშვილი** ან ამავე პროგრამის შესყიდვების სპეციალისტი **მაია კვარაცხელია**, რომელიც დაწერს დასკვნას ხელშეკრულების პირობებთან შესყიდვის საგნის შესაბამისობის შესახებ.

## მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი;

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;

12.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;

12.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### მუხლი 13. ფორსმაჟორი.

13.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

### მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### მუხლი 16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.3 მესამე პირთან პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

16.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას;

16.6 დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად;

16.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

16.8 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

16.9 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. 1 (ერთი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს;

16.10 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

## მუხლი 17. მხარეთა ხელმოწერები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი | შპს „ჯორჯიან პროგრეს გრუპი" |
| დავით ხვედელიძე | მიხეილ სამხარაძე |
| დირექტორის ფუნქციების დროებით შემსრულებელი | დირექტორი |

| სკოლის მართვის და ლიდერობის მეორე საერთაშორისო ფორუმი/კონფერენცია 2018 წელი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თარიღი | | 2018 წლის 22-23 სექტემბერი | | | | |
| სტუმრის რაოდენობა | | 250 პერსონა | | | | |
| 1 | კონფერენციის გამართვის ადგილი | ქ.თბილისი, ვარდების რევოლუციის მოედანი №1, სასტუმრო "Radisson blu iveria" | | | | |
| 2 | 6 (ექვსი) უცხოელი სტუმრის დაბინავების ადგილი | ქ.თბილისი, ვარდების რევოლუციის მოედანი №1, სასტუმრო "Radisson blu iveria" | | | | |
| 3 | კონფერენციის მონაწილე 70 (სამოცდაათი) პირის დაბინავების ადგილი | ქ.თბილისი, აფაქიძის ქუჩა №11, სასტუმრო "Best Western"; | | | | |
| № | დასახელება | კომენტარი | რაოდენობა/ განზომილება | დღეების/ ღამეების რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ფასი (ლარი) |
| 4 | ღონისძიების საორგანიზაციო და ტექნიკური მომსახურება | | | | | |
| 4.1 | **მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:**<br>ღონისძიების ორგანიზება, საკონფერენციო დარბაზების მოწყობა და მოწყობის პროცესის ზედამხედველობა, ბანერების, სტენდების აწყობა და მათი განთავსება, სხვადასხვა ნივთების გადაადგილება შემსყიდველის მითითებით, ღონისძიებაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია, სასაჩუქრე კრებულის მომზადება *(მიმწოდებელი უზრუნველჰყოფს შემსყიდველის მიერ მითითებულ ყველა სასაჩუქრე ნივთის მოთავსებას სასაჩუქრე ჩანთაში, ჩალაგება მოხდება ღონისძიებამდე 1 დღით ადრე)* და გადაცემა სტუმრებისთვის, როგორც 70 (სამოცდაათი) მოწვეული სტუმრის ასევე 6 (ექვსი) მოწვეული უცხოელი სტუმრის მიღება და დაბინავება, ინფორმირება ყველა სტუმრის თუ ვინ რომელ სასტუმროში იქნება განთავსებული. ასევე, მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სხვა მოთხოვნების შესრულება და ხარვეზის დროული აღმოფხვრა შემსყიდველის მითითების შესაბამისად. | მიხეილ სამხარაძე - საორგანიზაციო სამუშაოები<br>მერაბ გოხელაშვილი - ლოჯისტიკა<br>თორნიკე ნერგაძე - სტუმრების განთავსება | | | | 1757.00 |
| | | | | | ჯამი: | 1757.00 |
| 5 | საკონფერენციო დარბაზი | | | | | |
| 5.1 | **დარბაზი ღონისძიების გახსნისთვის:**<br>რაოდენობა: 1 დარბაზი;<br>ტევადობა: 250 (ორას ორმოცდაათი) პერსონა, მოცულობა: 346 კვ/მ.<br>გათბობა/გაგრილების გამართული სისტემით.<br>**პირველი დღე:**<br>დარბაზის ერთ ნაწილში განთავსებული სცენით (იხ. პუნქტი N7.6).<br>250 (ორას ორმოცდაათი) სკამი თეატრალური წყობით. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია დაემატოს 20 (ოცი) სკამი.<br>**მეორე დღე:**<br>დარბაზი უნდა გაიტიხროს ორ დამოუკიდებელ ნაწილად. თითოეულში დარბაზში უნდა მოეწყოს სცენები (იხ. პუნქტი N7.7), პრეზიდიუმებით (ექვსი ) პირზე, ტრიბუნებით. თითო დარბაზში 100 (ასი) სკამი თეატრალური წყობით. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია დაემატოს 20 (ოცი) სკამი. | **2 (ორი) სრული დღე (პირველი და მეორე დღე)** | 1 დარბაზი | 2 დღე | 500.00 | 1000.00 |
| 5.2 | **დარბაზი სესიებისთვის/მასტერ კლასებისთვის:**<br>რაოდენობა: 4 დარბაზი,<br>თითოეული დარბაზის ტევადობა შემდეგნაირად:<br>1-ლი დარბაზი - 30 პერსონა;<br>მე-2 დარბაზი - 30 პერსონა;<br>მე-3 დარვაზი - 40 პერსონა;<br>მე-4 დარბაზი - 50 პერსონა.<br>დარბაზებში უნდა იყოს მოწყობილი პრეზიდუმი 5 (ხუთი) ადამიანზე.<br>განლაგება ვორქშოპისთვის (Classroom-ის სტილი). შესაბამისი გახმოვანების სისტემით. გამართული კონდიცირების სისტემით. | **1 (ერთი) სრული დღე (პირველი დღე)** | 4 დარბაზი | 1 დღე | 50.00 | 200.00 |
| 5.3 | **სივრცე Smart chat (play ground)**<br>მოცულობა: 200 კვ.მ<br>აღნიშნული სივრცე განლაგებული უნდა იყოს არა ოთახში, არამედ საერთო სივრცეში, საკონფერენციო ოთახის მიმდებარედ. მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ აღნიშნულ სივრცე უნდა გაიყოს 3 (სამი) დამოუკიდებელნაწილად,სადაც განთავსდება მაგიდები, პუფები, არკა, სმარტ დაფა ბანერით **(თითოეულის დეტალური მახასიათებლები მოცემულია პუნქტი N10-ში).** | **1 (ერთი) სრული დღე (პირველი დღე)** | ღია სივრცე | 1 დღე | 200.00 | 200.00 |
| | | | | | ჯამი: | 1400.00 |
| 6 | ტექნიკური აღჭურვილობა | | | | | |
| 6.1 | გახმოვანება: აღჭურვილი უნდა იყოს ყველა იმ სჭირო ტექნიკით რაც საჭიროა შეუფერხებლად მუშაობისთვის, მათ შორის იგულისხმება დინამიკები რაოდენობა საჭიროებისამებრ ოთახების ზომის მიხედვით. იხილეთ შესაბამისი პუნქტი სადაც აღწერილია ოთახების რაოდენობა და ტევადობა. (უნდა მოხდეს ციფრული ხმის მიწოდება, როგორც ვიდეო გადაღებისთვის ასევე livestream-ისთვის) | | | | | |
| 6.2 | მიკროფონი უკაბელო (ხელის) უნდა მოყვებოდეს შესაბამისი რაოდენობის დინამიკები. აღნიშნული მიკროფონები და დინამიკები გადანაწილდება საკონფერენციო ოთახებში | **2 (ორი) სრული დღე** | 7 ცალი | 2 დღე | 20.00 | 280.00 |
| 6.3 | მიკროფონი მაგიდაზე დასადგამი | **2 (ორი) სრული დღე** | 20 ცალი | 2 დღე | 15.00 | 600.00 |
| 6.4 | მიკროფონი ტრიბუნაზე დასადგამი | **2 (ორი) სრული დღე** | 2 ცალი | 2 დღე | 15.00 | 60.00 |
| 6.5 | ეკრანი დიოდური, პულტით, გახსნის დღეს, 4მx5მ (აღჭურვილი უნდა იყოს ყველა იმ სჭირო ტექნიკით რაც საჭიროა შეუფერხებლად მუშაობისთვის)<br>აღნიშნულ ეკრანებზე უნდა გავიდეს ლაივი და ასევე პრეზენტაციები ერთ ეკრანზე ქართულად მეორე ეკრანზე ინგლისურად | 1 (ერთი) სრული დღე | 2 ცალი | 1 დღე | 5500.00 | 11000.00 |
| 6.6 | ეკრანი პროექტორისთვის, სიგანე 4მx სიმაღლე 3მ (აღჭურვილი უნდა იყოს ყველა იმ საჭირო ტექნიკით რაც საჭიროა შეუფერხებლად მუშაობისთვის) | **2 (ორი) სრული დღე** | 4 ცალი | 2 დღე | 50.00 | 400.00 |
| 6.7 | პროექტორი პულტით (აღჭურვილი უნდა იყოს ყველა იმ სჭირო ტექნიკით რაც საჭიროა შეუფერხებლად მუშაობისთვის) | **2 (ორი) სრული დღე** | 4 ცალი | 2 დღე | 50.00 | 400.00 |
| 6.8 | ლეპტოპები უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში, ჩატვირთული საოფისე პროგრამებით და შესაძლებელი უნდა იყოს პრეზენტაციის შეუფერხებლად გაშვება | **2 (ორი) სრული დღე** | 5 ცალი | 2 დღე | 50.00 | 500.00 |
| 6.9 | სინქრონული თარგმანის აღჭურვილობა 270 კაციანი დარბაზის სრული მთელი დღის სინქრონული თარგმანისთვის. იგულისხმება ჯიხური, ყურსასმენები და ყველა საჭირო აქსესუარი | 1 (ერთი) სრული დღე | დღე | 1 | 3300.00 | 3300.00 |
| 6.10 | 1 სინქრონული თარჯიმანი და 3 თანმიმდევრული თარჯიმანი ინგლისურიდან ქართულზე და პირიქით. | 1 (ერთი) სრული დღე (პირველი დღე) | საათი | 8 | 562.50 | 4500.00 |
| 6.11 | ღონისძიებისთვის დამოუკიდებელი ინტერნეტ ხაზის მიწოდების უზრუნველყოფა შემდეგი მახასიათებლებით:<br>**საკონფერენციო და Smart chat (play ground) სივრცის უკაბელო ინტერნეტით (Wi-Fi) უზრუნველყოფა (50 მბ/წმ)** | **2 (ორი) სრული დღე** | დღე | 2 | 350.00 | 700.00 |
| | | | | | ჯამი: | 21740.00 |
| 7 | Livestream | | | | | |
| 7.1 | ღონისძიების livestream-ით უზრუნველყოფა ტექნიკურად. სულ 3 სესია (იგულისხმება პლენარული სესიიდან ჩართვა), დღის წესრიგიდან გამომდინარე. livestream-ის ინტეგრირება შესაბამის ვებგვერდზე და Facebook-ზე. გადაღება განხორციელდება 3 პროფესიონალური კამერით ერთდროულად HD ხარისხით (ციფრული ხმის მიწოდება). | 1-ლი დღე | საათი | 5 | 435.00 | 2175.00 |
| | | | | | ჯამი: | 2175.00 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | ვიდეო/ფოტო მომსახურება | | | | | |
| 8.1 | ვიდეო გადაღება შემდეგი პირობებით:<br>ყველა სესიის ვიდეო ჩაწერა სრულად, HD ხარისხით. გადაღება მოხდება პროფესიონალთა გუნდის მეშვეობით ( 6 ვიდეოგადამღები), თითოეულ ოთახში ინდივიდუალური კამერით. (გაიმართება 5 პარალელური სესია და Smart chat (play ground)).<br><br>მიმწოდებელი შემსყიდველს მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში გადასცემს:<br>**1-ლი დღე:**<br>1. ყველა სესიის და Smart chat (play ground) სრული ვიდეო.<br>2. კონფერენციის შემაჯამებელი 3 წუთიანი დამონტაჟებული ვიდეო რგოლი.<br>3. ვორკშოფების შემაჯამებელი 3 წუთიანი დამონტაჟებული ვიდეო რგოლი;<br>4. Smart chat (play ground) შემაჯამებელი 3 წუთიანი დამონტაჟებული ვიდეო რგოლი;<br>**მე-2 დღე:**<br>5. პარალელური სესიების შემაჯამებელი 3 წუთიანი დამონტაჟებული ვიდეო რგოლი;<br>6. 2 (ორი) პარალელური სესიის სრული ვიდეო გადაღება ინდივიდუალური კამერებით;<br><br>**მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ვიდეოები უნდა შეიცავდეს 3-3 სინქრონს.**<br><br>**ვიდეო გადამღები აღჭურვილი იქნება დასამაგრებელი მიკროფონით (ე.წ პეტლიჩკა)** | **2 (ორი) სრული დღე** | დღე | 2 | 1400.00 | 2800.00 |
| 8.2 | ფოტო გადაღება შემდეგი პირობებით:<br>ყველა სესიის ფოტო გადაღება (1 ფოტოგრაფი) პროფესიონალური Full Frame კამერით. კამერა იქნება აღჭურვილი ხელოვნური განათებით, ფოტო კამერას უნდა ახლდეს ობიექტივები, მათ შორის ფართე კუთხიანი და ტელეობიექტივი. ჯამში 400 ფოტო (უმაღლესი ხარისხით). მიმწოდებელი შემსყიდველს გადასცემს ყველა სესიის და Smart chat (play ground)-ის ამსახველ ფოტოებს.<br>ფოტოგრაფს თანქვნება ტექნიკური აღჭურვილობა, რითაც ფოტოების კომპიუტერში გადატანა მოხდება შეუფერხებლად კონფერენციის მსვლელობის დროს.<br>გადაღებული სრული მასალის დამუშავებული ვერსიების მოწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. | | დღე | 2 | 800.00 | 1600.00 |
| 8.3 | განათება შემდეგი პირობებით:<br>1-ლი დღე, სცენის განათება/მინათება ცენტრალურ დარბაზში (სცენის სატელევიზიო განათება 2 კილოვატი) განათება იქნება თეთრი;<br>მე-2 დღე, განათება/მინათება ორ დარბაზში ერთდროულად (სატელევიზიო განათება 2 კილოვატი) განათება იქნება თეთრი; | **2 (ორი) სრული დღე** | დღე | 2 | 1500.00 | 3000.00 |
| | | | | | | 7400.00 |
| 9 | ღონისძიებისთვის საჭირო ინვენტარი | | | | | |
| 9.1 | **სივრცე Smart chat (play ground)-ის აღჭურვილობა:**<br>10 (ათი) მაგიდა (ჟურნალის მაგიდის ტიპის), ზომა: სიმაღლე 50სმ, სიგრძე 90 სმ, სიგანე 55 სმ. მასალა: აკრილის ზედაპირით (ზედაპირზე ბრენდირების შესაძლებლობით) და ლითონის ფეხებით. მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს რენდერი ზომების გათვალისწინებით და ბრენდირებით. ბრენდირების გადატანას უზრუნველყოფს მიმწოდებელი | საქონლის დამზადება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, შემსყიდველის მიერ უკვე მომზადებული და მიმწოდებელზე გადაცემული დიზაინის მიხედვით 5 სამუშაო დღეში (აღნიშნული პროდუქტის ხარისხი ეტაპობრივად გადამოწმდება შემსყიდველის მხრიდან), რომელიც უნდა დასაწყობდეს მიმწოდებლის მიერ საკუთარი ხარჯით, ღონისძიების გამართვის დღემდე<br><br>შემსყიდველის მიერ სპეციალურად ღონისძიების დღისთვის შემუშავებული დიზაინის ერთიანი კონცეფციის მიხედვით. | 10 ცალი | აღნიშნული პოზიცია არ მრავლდება დღეებზე | 250.00 | 2500.00 |
| 9.2 | **სივრცე Smart chat (play ground)-ის აღჭურვილობა:**<br>70 (სამოცდაათი) პუფი-სავარძელი, მყარი ტიპის, ოთხკუთხედი ფორმის (კუბის ფორმის);<br>მასალა: ხავერდისგან. ფერები: 3 (სამი) ფერი (დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმებისას).<br>წონითი დატვირთვა: 80-100 კგ;<br>ზომები: 40სმ X40სმX40სმ | საქონლის დამზადება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, შემსყიდველის მიერ უკვე მომზადებული და მიმწოდებელზე გადაცემული დიზაინის მიხედვით 5 სამუშაო დღეში (აღნიშნული პროდუქტის ხარისხი ეტაპობრივად გადამოწმდება შემსყიდველის მხრიდან), რომელიც უნდა დასაწყობდეს მიმწოდებლის მიერ საკუთარი ხარჯით, ღონისძიების გამართვის დღემდე<br><br>შემსყიდველის მიერ სპეციალურად ღონისძიების დღისთვის შემუშავებული დიზაინის ერთიანი კონცეფციის მიხედვით. | 70 ცალი | აღნიშნული პოზიცია არ მრავლდება დღეებზე | 30.00 | 2100.00 |
| 9.3 | **სივრცე Smart chat (play ground)-ის აღჭურვილობა:**<br>არკის ფორმის კონსტრუქცია, რომელიც მყარად და უსაფრთხოდ უნდა განთავსდეს/დამონტაჟდეს შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილას.<br>მასალა: თაბაშირ-მუყაო;<br>მთლიანი: სიმაღლე 3მ.<br>თაღის ზომები: სიღრმე 40.<br>კონსტრუქციაზე ოთხივე მხრიდან (წინა,უკანა და გვერდითი მხარეები) განხორციელდება დაბრენდვა სტიკერით, რომელიც მოერგება კონსტრუქციას.<br>წარწერის/სტიკერის დამზადებას და ბრენდირების გადატანს უზრუნველყოფს მიმწოდებელი.<br>მიმწოდებელი წარმოადგენს რენდერს ბრენდირებით და ზომების გათვალისწინებით (ბრენდირების გადატანას უზრუნველყოფს მომწოდებელი) | საქონლის დამზადება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, შემსყიდველის მიერ უკვე მომზადებული და მიმწოდებელზე გადაცემული დიზაინის მიხედვით 5 სამუშაო დღეში (აღნიშნული პროდუქტის ხარისხი ეტაპობრივად გადამოწმდება შემსყიდველის მხრიდან), რომელიც უნდა დასაწყობდეს მიმწოდებლის მიერ საკუთარი ხარჯით, ღონისძიების გამართვის დღემდე<br><br>შემსყიდველის მიერ სპეციალურად ღონისძიების დღისთვის შემუშავებული დიზაინის ერთიანი კონცეფციის მიხედვით. | 1 ცალი | აღნიშნული პოზიცია არ მრავლდება დღეებზე | 3000.00 | 3000.00 |
| 9.4 | **სივრცე Smart chat (play ground)-ის აღჭურვილობა:**<br>სმარტ-დაფის ბანერი:<br>ბანერის ზომ:4მX4მ;<br>ბანერი იქნება მყარი კონსტრუქციის, ამოჭრილი იმგვარად, რომ შიგნით განთავსდეს (დაიკიდოს) სმარტ დაფა. ბანერთან იქნება მიყვანილი დენის და ინტერნეტის წყაროები.<br>მიმწოდებელი წარმოადგენს რენდერს. ბრენდირების გადატანას უზრუნველყოფს მომწოდებელი. | საქონლის დამზადება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, შემსყიდველის მიერ უკვე მომზადებული და მიმწოდებელზე გადაცემული დიზაინის მიხედვით 5 სამუშაო დღეში (აღნიშნული პროდუქტის ხარისხი ეტაპობრივად გადამოწმდება შემსყიდველის მხრიდან), რომელიც უნდა დასაწყობდეს მიმწოდებლის მიერ საკუთარი ხარჯით, ღონისძიების გამართვის დღემდე<br><br>შემსყიდველის მიერ სპეციალურად ღონისძიების დღისთვის შემუშავებული დიზაინის ერთიანი კონცეფციის მიხედვით. | 1 ცალი | აღნიშნული პოზიცია არ მრავლდება დღეებზე | 1600.00 | 1600.00 |
| 9.5 | **სივრცე Smart chat (play ground)-ის აღჭურვილობა:**<br>სმარტ-დაფა (Smartboard), ინტერაქტიული დაფა სენსორული ზედაპირით, რომელზეც ყველა მოქმედება ხორციელდება ელექტრონულად, ე.წ. "ციფრული" მელნის მეშვეობით. შესაძლებელი უნდა იყოს დაფაზე შესრულებული წარწერების გენერირება ელექტრონულად შესაბამის ფორმატში.<br>ზომა: 2 მX1.80მ | 1 (ერთი) სრული დღე | 1 ცალი | 1 დღე | 2000.00 | 2000.00 |
| 9.6 | **რესურსების სტენდი:**<br>ზომა: სიმაღლე: 1,80მ, სიგრძე 2მ,<br>მასალა: მდფ შეღებვის შესაძლებლობით (ფერი დაზუსტდება შემსყიდველთან შეთანხმებით);<br>სტენდის წინა მხარეს ექნება თარო-ჯიბეები, რომელიც დამზადებული იქნება გამჭვირვალე პლასტმასისგან.<br>იხ. ნიმუშის ფოტო<br>მიმწოდებელმა წარმოადგინს რენდერს ზომების გათვალისწინებით და შიდა თაროების ზომისა და რაოდენობის შემსყიდველთან შთანხმებით | საქონლის დამზადება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, შემსყიდველის მიერ უკვე მომზადებული და მიმწოდებელზე გადაცემული დიზაინის მიხედვით 5 სამუშაო დღეში (აღნიშნული პროდუქტის ხარისხი ეტაპობრივად გადამოწმდება შემსყიდველის მხრიდან), რომელიც უნდა დასაწყობდეს მიმწოდებლის მიერ საკუთარი ხარჯით, ღონისძიების გამართვის დღემდე<br><br>შემსყიდველის მიერ სპეციალურად ღონისძიების დღისთვის შემუშავებული დიზაინის ერთიანი კონცეფციის მიხედვით. | 1 ცალი | აღნიშნული პოზიცია არ მრავლდება დღეებზე | 1000.00 | 1000.00 |
| 9.7 | სცენა ცენტრალურ დარბაზში პირველ დღეს:<br>სიმაღლე 30 სმ, სიგანე 4მ, სიგრძე 10მ. | 1 (ერთი) სრული დღე | 1 ცალი | 1 დღე | 2000.00 | 2000.00 |
